საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №2
2024 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 28/02/2018, 040030000.22.034.016716) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ბ.გ“ ქვეპუნქტი:

„ბ.ბ.გ) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის სამსახური;“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ – „გ.კ.“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ბ) გორის სამმართველო:

გ.ბ.ა) ხეითის ჯგუფი;

გ.გ) თელავის სამმართველო;

გ.დ) ახალციხე-ახალქალაქის სამმართველო;

გ.ე) ქუთაისის სამმართველო;

გ.ვ) საჩხერე-ამბროლაურის სამმართველო;

გ.ზ) ფოთის სამმართველო;

გ.თ) ზუგდიდის სამმართველო;

გ.ი) ბათუმის სამმართველო;

გ.კ) ოზურგეთის სამმართველო;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **ვახტანგ გომელაური**